

წინასაარჩევნო ღაპირებებით ცუდი საქმე კეთდება

7 ნოემბერს ძალიან დიდი ტრაგედია მოხდა. თუმცა, ეს არის იმის ლოგიკური გაგრძელება, რაც 4 წლის განმავლობაში მეთოდურად კეთდებოდა

გაზეთი “ახალი თაობა”, 7 დეკემბერი, № 337, 2007

ინტერვიუ დეპუტატ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, რას იტყვით საპრეზიდენტო მარათონზე, რომელიც 7 ნოემბრის ფონზე მიმდინარეობს?

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 7 ნოემბერს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, დაიხურა “იმედი”, გარკვეული პერიოდით “კავკასია”, ხოლო მოქმედ პრეზიდენტს შეეძლო თავისუფლად ემოქმედა, სააკაშვილმა წინასაარჩევნო კამპანია პრაქტიკულად უკვე მაშინ დაიწყო, როცა ცნობილი გახდა, რომ ვადამდელი არჩევნები უნდა დანიშნულიყო. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში პრეზიდენტობის კანდიდატები თანაბარ მდგომარეობაში ვერ იქნებოდნენ მიხეილ სააკაშვილთან. შემდეგ კანდიდატების ძალიან დიდი რაოდენობა გამოჩნდა, მათ შორის ბევრი არასერიოზული კანდიდატია. თუმცა საეთერო დრო მათაც სჭირდებათ. მთლიანობაში საარჩევნო კამპანიისთვის ეს ძალიან საზიანოა. რეალურად ჩვენ გვყავს ხუთი აშკარად ძლიერი კანდიდატი: სააკაშვილი, გაჩეჩილაძე, გამყრელიძე, ნათელაშვილი, პატარკაციშვილი. პოპულარობით თუ ვიტყვით – ექვსი: მეექვსე გია მაისაშვილია, რომელსაც ჩემი აზრით, წინა ხუთთან შედარებით ყველაზე ნაკლები შანსები აქვს. მისი ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ნაკლებად არის დაკავშირებული ქართულ სინამდვილესთან თავისი პოლიტიკური შეხედულებებით, საკუთარი პიროვნების შეფასებით, პარტიული მშენებლობითა და ქვეყანაში არსებული რეალობის აღქმით. რა შეიძლება ითქვას საარჩევნო კამპანიაზე, როცა გამორთულია ოპოზიციური აზრის ფლაგმანი – “იმედი”? სხვათა შორის, საზოგადოებრივი მაუწყებელი ბევრად ობიექტურია, ვიდრე სხვა მთავრობის მხარდამჭერი ტელევიზიები. თუმცა მათაც ჰყავთ ისეთი სტუმრები, ვიზუც იტყვი, რომ არსზე “ცხოვრობენ”, ისინი, ვინც 7 ნოემბრიდან მოყოლებული გემოდვრავენ, რაოდენ აუცილებელი იყო დარბევა და “იმედის” დახურვა. ამ ექსპერტმა-ანალიტიკოსებმა ისეთივე უარყოფითი იმიჯი შეიქმნეს, როგორც

ბევრმა ცნობილმა პოლიტიკურმა სახემ. რა შეიძლება ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ არის ადმინისტრაციული რესურსი მაინც მასზე მუშაობს. ბუნებრივია, რომ მთავრობაში მყოფი მისი გუნდის წევრები კვლავ მის გაპრეზიდენტებას ცდილობენ. ამ მხრივ მოულოდნელი არაფერი ხდება.

– რამდენად შედეგიანი იქნება სააკაშვილისთვის ეს საარჩევნო კამპანია?

– 7 ნოემბერს ძალიან დიდი ტრაგედია მოხდა. თუმცა, ეს არის იმის ლოგიკური გაგრძელება, რაც 4 წლის განმავლობაში მეთოდურად კეთდებოდა. პერიოდულად იხურებოდა ტელევიზიები და გაზეთები. ამიტომ, ლოგიკურია, რაც მოხდა “იმედთან” დაკავშირებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2004 წლის დასაწყისში კონსტიტუციაში მიღებული იქნა ისეთი ცვლილება, რომელმაც მნიშვნელოვნად შეასუსტა პარლამენტის ფუნქცია. ამ ცვლილებით პრეზიდენტს პარლამენტის დაშლის საშუალება მიენიჭა, ამიტომ, როცა საზოგადოება პარლამენტით უკმაყოფილოა, ეს ბუნებრივია. ის რომ პარლამენტმა გაიგრძელა ვადა, ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია იმ სისტემაში, რაც ამ წლების განმავლობაში ხდებოდა. რაც შეეხება 7 ნოემბრის დარბევას, დარბევის მასშტაბები შეიცვალა, თორემ დარბევას რა შეჩვეული არ ვიყავით? გაიხსენეთ ლტოლვილების გამოსახლება, ან პროფესორების გამოკეტვა ღამე უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, ან უნივერსიტეტში პოლიციის შეშვება, ან თუნდაც ის, თუ რაც მოხდა თაბუკაშვილზე. 7 ნოემბერს უბრალოდ სრულყოფილად წარმოჩინდა ხელისუფლების სახე. აბსოლუტურად გაუგებარი იყო, რაში დასჭირდა ხელისუფლებას ამ ხალხის დარბევა. ხალხი ხელებს წევდა და აჩვენებდა, რომ არაფერი ჰქონდათ. 5 ნოემბერს თქვენთან ინტერვიუში ვამბობდი, მიტინგის მთავარი მოთხოვნა აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს და უნდა დაინიშნოს საპარლამენტო არჩევნები. ეს იქნებოდა ამ დაძაბულობის მშვიდობიანი განმუხტვის გზა. ჩვენ ვწერდით, აბა, ამ ხალხს ხომ არ ვცემთ და ისე ხომ არ გავყრივთ სახლში? სამწუხაროდ, ყველაფერი უფრო უარესადაც კი მოხდა. საბოლოო ჯამში კი, თავად პრეზიდენტს დასჭირდა გადადგომა იმისათვის, რომ გაგაერჩინა თავისი პირადი მუნდირი და ქვეყნის იმიჯი.

– ბატონო ლადო, თქვენ 6 ნოემბერს დატოვეთ უმრავლესობა. პრეტენზიები ან მუქარა ხომ არ ყოფილა ლიდერი ნაციონალების მხრიდან?

– 6 ნოემბერს მიემართე პარლამენტის დამფუძნებლებს ფრაქციის დატოვების და საპარლამენტო თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. ბუნებრივია, ჩემს განცხადებას სხვადასხვაგვარი რეაქციები მოჰყვა. უმრავლესობის წარმომადგენლებისთვის ჩემი ნაბიჯი სასიამოვნო რომ არ იქნებოდა, ეს ფაქტია. სხვათა შორის, მე მაინც ვთვლი, რომ უმრავლესობის ლიდერებმა მთლიანობაში ღირსების დაცვით გამოხატეს თავისი დამოკიდებულება ჩემდამი. ადამიანურად ამას ძალიან ვაფასებ. მათ ისე დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია, რომ პიროვნულ შეურაცხყოფაზე არ გადასულან. განსაკუთრებული სიდარბაისლით თავისი დამოკიდებულება მიხელ მაჭავარიანმა გამოხატა. მიუხედავად ამისა, იყო გარკვეული არასასიამოვნო, მუქარანარევი ზარებიც. რა თქმა უნდა, ეს ზარები არ იყო უმრავლესობის ლიდერების მხრიდან. ამაზე ბუნებრივი რეაქცია მქონდა და ამის შესახებ ჩემს ყველა მეტ-ნაკლებად გავლენიან უცხოელ მეგობარს გავაგებინე, მათ შორის საქართველოში აკრედიტებულ დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის საელჩოდან და რაც მთავარია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიდანაც. გავაგებინე, რომ საქართველოში ასეთი რამ ხდება და არ არის გამორიცხული, მე და ჩემი ოჯახი დავდგეთ საფრთხის წინაშე. სხვათა შორის, ყველა ძალიან მალე გამოეხმაურა ჩემს ამ შეშფოთებას. ყველა მზად იყო დახმარება გაეწია საჭიროების შემთხვევაში.

– ბატონო ლადო, გია მაისაშვილმა ღიად განაცხადა, რომ თავის მთავრობაში სიამოვნებით მოიზიდავდა ლადო პაპავას. რა შეგიძლიათ თქვათ ამაზე და სხვა შემოთავაზებებიც თუ გაქვთ?

– მაისაშვილმა საჯაროდ თქვა, სხვებს საჯაროდ არ უთქვიათ, თუმცა ასეთი წინადადებები ნამდვილად იყო და ყველამ ჩემგან მორიდებული უარი მიიღო. მიუხედავად ჩემი პატივისცემისა კანდიდატების მიმართ, არავის პარტიის წევრობას არ ვაპირებ. ჩემთვის აზრის დამოუკიდებლად გამოთქმის საშუალება ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე ვინმეს გუნდის წევრობა. ვინმეს გუნდის წევრობა ნიშნავს იმ ვინმეს ჭკუაზე სიარულს. ნამდვილად აღარ ვაპირებ ვინმეს ჭკუაზე სიარულს. აქედან გამომდინარე უახლოეს პერიოდში ჩემს თავს აქტიურ პოლიტიკაში ვერ ვხედავ.

– როგორია თქვენი, როგორც ეკონომისტის რეაქცია სააკაშვილის საპრეზიდენტო დაპირებებზე? და საერთოდ, შესწევს ქვეყნის ბიუჯეტს ამ ყველაფერს გაუმკლავდეს?

– ამ დაპირებებით ვთვლი, რომ ძალიან ცუდი რამ ხდება. ჯერ იყო და ხალხს ეუბნებოდნენ, უკანონოდ აშენებული უნდა დაინგრესო და ვისიც მოასწრეს დაანგრის კიდევ. ახლა კი იბახიან ეს შეიძლებაო და დაგიმტკიცებთო. გახსოვთ, როგორი გაშმაგებით მოითხოვდნენ სალარო აპარატების დადგმას. დღეს კი თურმე ამის გადავადება შეიძლება 2010 წლის 1 იანვრამდე. საცოდავი ომის ვეტერანები – საზოგადოებრივ ტრანსპორტზე შეღავათებს წარუმატებლად რომ ითხოვდნენ; დღეს თურმე აღმოჩნდა, რომ ეს შესაძლებელია. დღეს ხდება იმის შემოტრიალება, რასაც 4 წლის განმავლობაში საზოგადოებას უმტკიცებდნენ, რომ არ შეიძლებოდა. მაშასადამე, აღმოჩნდა, რომ ის, რასაც აქამდე აკეთებდნენ, სწორი არ ყოფილა. ამით კი ამ წინასაარჩევნო პერიოდში ხაზი გადაესვა ყოველივე იმას, რაც 4 წლის განმავლობაში კეთდებოდა. ახლა ეკონომიკურ მხარეს შევხედოთ, რაც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. რა თქმა უნდა, პენსიები უნდა გაიზარდოს, მაგრამ ახლა უნდა გახსენებოდა ხელისუფლებას პენსიების ასე მნიშვნელოვნად გაზრდა? ითქვა, რომ პენსიები ცოტა ხანში ასი დოლარის ეკვივალენტი უნდა გახდეს. ძალიან კარგია, მაგრამ საქმე ისაა ეკონომიკა რამდენად გვაძლევს ამის საშუალებას. ეს ერთი, მეორე რატომ მაინც და მაინც ახლა გაახსენდათ პენსიონერები. თურმე შესაძლებელი ყოფილა პენსიების მომატება. ახლა მასწავლებელიც გაახსენდათ და მშობიარე ქალებიც. როცა ახალმა მემარჯვენებმა დააყენეს დემოგრაფიული პროგრამის მთელი პაკეტი პარლამენტში, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ ამას ნახევარი მილიარდი ლარი დასჭირდებაო და ეს ფული რომც ვიშოვოთ, ეს ინფლაციას გამოიწვევსო. ახლა ეს ფულიც გამოჩნდა და არც ინფლაციის ზრდის საშიშროება აწუხებს მთავრობას.

– ფიქრობთ, რომ საქართველოს ბიუჯეტს ამ გაზრდილი პენსიებთან და ხელფასებთან, დახმარებებთან გამკლავება გაუჭირდება?

– გულდაწყვეტით უნდა ვთქვა, რომ ლაღო გურგენიძე საკმაოდ ნიჭიერი ეკონომისტია, მაგრამ როგორც ვხვდები ის იქნება საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი წარუმატებელი პრემიერ-მინისტრი. წარუმატებელი იმიტომ, რომ თუ ამ დაპირებებს ვერ აღასრულებს, ის უკვე წარუმატებელი იქნება, ხოლო თუ

აღასრულებს, საინტერესოა, როგორ მოახერხებს ამის შემდეგ ქვეყანაში ფინანსური მდგრადობის, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას.

– ანუ პრეზიდენტის წინასაარჩევნო დაპირებები ძნელად შესასრულებელია?

– იცით, რა ამ დაპირებების განხორციელება შეიძლება მარტივად. ბიუჯეტს რომ თავი დავანებოთ, არის სხვა რესურსი. ეროვნული ბანკიდან აიღებენ სესხს და მაინც გააკეთებენ. მაგრამ ეს ყველაფერი ინფლაციას გაზრდის. ინფლაცია ამ დაპირებების აღსრულების გარეშეც საკმაოდ მაღალი იყო ქვეყანაში, ხოლო პროგნოზები შესაბამისად მხოლოდ პესიმისტური შეიძლება იყოს: ერთი ხელით მოსახლეობას ფულს მისცემენ, მეორე ხელით ამოაცლიან, რადგან ძალიან მაღალი ინფლაცია იქნება.

– თუკი ამ თანხების გაღება დღეს შეუძლია ახალ პრემიერ-მინისტრს, რატომ მანამდე არ ხდებოდა, არასწორად იგეგმებოდა ბიუჯეტი?

– ვერ გეტყვით, ეს რთული კითხვაა. ოფიციალური ახსნა არის ასეთი, უნდა გაძლიერებულიყო ჯარი, პოლიცია, და ამაში გარკვეული ლოგიკაც არის. გარდა ამისა არის წმინდა ფსიქოლოგიური მომენტიც, როცა წინა პლანზე გადმოდის ე.წ. “სული ბოროტის” პრობლემა, როცა ბოროტების კეთება მის მკეთებელს სიამოვნებას ანიჭებს. რეალურად თუ შევხედავთ, ბოროტების სიმპტომები მართლაც სახეზე გვაქვს. რაც თაბუკაშვილის ქუჩაზე, ან სალარო აპარატებთან და ვეტერანებთან დაკავშირებით მოხდა, ეს ხომ ბოროტებაში გადაზრდილი სიჯიუტე იყო. პარლამენტშიც და მთავრობაშიც არის ადამიანების კატეგორია, რომლებიც თვლიან, რომ რაც თავში მოუვათ, ის უნდა გაეკეთონ. მაგალითად, გეტყვით, რომ ვიღაცას მოუვიდა თავში სოციალური და საშემოსავლო გადასახადების გაერთიანება. მაგრამ ეს რომ დაუშვებელი იყო, ამის ცოდნა არ ჰქონდათ. პრეზიდენტს ათქმევინეს ეს მცდარი შეხედულება და ახალი წლიდან გვექნება 25%-იანი საშემოსავლო გადასახადი. ეს არის უცოდინრობის შედეგი, მაგრამ ახლა უკან დახევა აღარ უნდათ.

– შეიძლება ითქვას, რომ ბენდუქიძის პოლიტიკა თავდაყირა დადგა?

– მოდით ასე ვთქვათ, მე არასდროს ვთვლიდი, რომ ბენდუქიძეს განსაკუთრებული პოლიტიკა აქვს. ბენდუქიძის პოლიტიკა არის ის, რომ მოერგოს ყველაფერს. ის შესანიშნავად მოერგო მთავრობაში ქართული სახელმწიფოს ნგრევას, ინიციატორიც იყო. მან კარგად მოირგო ე.წ.

ფსევდოლიბერალის მანტია. დღეს კი ისეთი მთავრობა გვყავს, ნებისმიერ სოციალისტურ ქვეყანას შეშურდება. შესაძლოა ლუკაშენკოსაც არ ჰყავდეს ისეთი მთავრობა, რომელიც საქართველოს დღეს ჰყავს და რომელიც მზად არის ხალხს გაზრდილი ხელფასები, პენსიები და სხვადასხვაგვარი საჩუქრები დაურიგოს.

– თქვენი ინფორმაციით, არსებობს ქვეყანაში საბიუჯეტო პრობლემები? ზოგიერთი პოლიტიკოსის თქმით, საზინა ცარიელია.

– როგორც ვიცი ქვეყანას დღეს-დღეობით საბიუჯეტო პრობლემები არ გააჩნია. ვიმედოვნებ სიტუაცია ამ მხრივ არ უნდა დამძიმდეს. პრობლემა არის უაზრო ხარჯები. აქ ერთ რამეს მინდა ხაზი გავუსვა. ნამდვილად არ ვიცი, რატომ ჩამოშორდა ქართულ პოლიტიკას ზურაბ ნოღაიდელი. მის შესახებ ათასი ჭორი დადის. ერთ-ერთის თანახმად ნოღაიდელი არ წავიდოდა ამ სოციალისტური ბიუჯეტის მიღებაზე. რაც ამის შემდეგ ხარჯები გავა, ყველაფერზე პასუხისმგებლობა ნოღაიდელს მოხსნილი ექნება. ფსევდოლიბერალი ბენდუქიძე კო ყველაფერ ამაზე პროტესტს არ აფიქსირებს და შესანიშნავად მუშაობს ამ მთავრობაში.

– ბატონო ლადო, თქვენი აზრით, რატომ მაინცდამაინც ბანკირი ლადო გურგენიძე შეიქმნა პრემიერ-მინისტრის პოსტზე?

– ძალიან კარგი შეკითხვაა. პირველი, დავიწყეთ იმით, რომ გურგენიძე დასავლეთში განათლება მიღებული წარმატებული ბანკირია, კულტურული კაცია და სანდომიანი გამომეტყველება აქვს. ამ ბოროტი სახეების შემდეგ, რამაც ქართული საზოგადოება დაღალა, უცებ გამოჩნდა კეთილი ადამიანი და თანაც მცოდნე. პლუს ამას, შეგახსენებთ გურგენიძის განცხადებას, როცა მთავრობასთან დაახლოებულმა ბიზნესმენებმა 5 ნოემბერს ხელი მოაწერეს განცხადებას, სადაც ამბობდნენ, რომ თუ მიტინგები გაგრძელდებოდა, ინვესტორები გატრიალდებოდნენ და ინვესტიციების შემოსვლა შეჩერდებოდა. მე ვთვლი, რომ იმ დროისთვის ეს იყო მორალურად გაუმართლებელი განცხადება, იმიტომ, რომ ხალხი, რომელიც ქუჩაშია გამოსული და გამწარებული, მას არ შეიძლება ელაპარაკო იმაზე ინვესტიციები შეწყდება თუ არა. რა თქმა უნდა მანიფესტაციები ინვესტიციებს ხელს უშლის, მაგრამ იმის გამო, რომ ინვესტიცია მივიღოთ, მანიფესტაცია რა თქმა უნდა არ დაიშლება. უფრო მართებული იქნებოდა ამ შინაარსის განცხადებით

მეწარმეებს მთავრობისთვის მიემართათ ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით საპროტესო აქციების საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულ ფორმატში გადაყვანის მოთხოვნით. სამწუხაროდ, მათ მოხონით მთავრობას კი მიმართეს, არამედ ხალხს. მეორეს მხრივ თუ შევხედავთ, გურგენიძეს რომელიც ამ ბიზნესმენებს სათავეში ჩაუდგა, ეს ღვაწლი დაუფასდა და პრემიერ-მინისტრიც გახდა. თუმცა პრემიერის პოსტი მან ძალიან ცუდ დროს მიიღო.

– არსებობს ინფორმაცია, რომ საქართველოს ბანკიდან 430 მლნ დოლარი იქნა გადმოქაჩული იმისათვის, რომ სააკაშვილის წინსაარჩევნო დაპირებები იქნას შესრულებული.

– ვერ დავადასტურებ, რადგან მე ეს ინფორმაცია არა მაქვს. ერთი ვიცი, რომ გურგენიძე ამ მთავრობის ფასადია. ყველაზე ცუდია, რომ “საკმაზი” მთავრობაში იგივე დარჩა. გურგენიძეს ჰქონდა ისტორიული შანსი შეეცვალა მთავრობაში თუნდაც აშკარად გამოსატყუელი უარყოფითი სახეები. პირველ რიგში ეკონომიკურ ბლოკს ვგულისხმობ.

– კონკრეტულად ვის გულისხმობთ?

– ყველაზე გამაღიზიანებელი მთავრობაში ბატონი ბენდუქიძეა, რომელსაც კიდევ ერთი დიდი ნიჭი აქვს. როგორც კი ქვეყანაში სიტუაცია იძაბება, როგორც წესი, ის ყოველთვის პოულობს დიდ “პოლიტიკურ ბუჩქს”, რომლის უკანაც იმალება. ახლაც ასეა გატრუნული და ხმას არ იღებს.

– თქვენ ზემოთ ახსენეთ, რომ ყველაზე უარყოფითი შედეგების მქონე პრემიერ-მინისტრი იქნება გურგენიძე. ამის წინაპირობა უკვე არის?

– ამას ასი პროცენტით ვერ ვიტყვი, მაგრამ ის რაც დღეს ხდება, რაც სოციალისტური მთავრობის პრემიერ-მინისტრობის ტოლფასია გურგენიძის ცოდნას, გამოცდილებას და მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება. ვიმეორებ, პრეზიდენტის დანაპირების შერულება შესაძლებელია, თუმცა ღმერთმა ქნას მეტი არ გაგრძელდეს ეს ძვრადღირებული დაპირებები.

– ყველაზე დიდ უარყოფით ნაბიჯად რას მიიჩნევთ ამ ხელისუფლებისათვის?

– ის, რომ მან დაკარგა ხალხთან ურთიერთობის და მოსმენის უნარი. მე მგონი სააკაშვილი არც ამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს უსმენს ხალხს. მან

ახლა დაიწყო იმის მოსმენა, რასაც მას ხალხი სულ ცოტა წელიწადნახევრის წინ თხოვდა. ჩემი აზრით, დღეს საზოგადოებას სჭირდება იმ ჩატეხილი ხიდის აღდგენა, რომელიც ყოველთვის უნდა იყოს ხალხსა და ხელისუფლებას შორის.

– დაბოლოს, რას იტყვით დასაქმების პროგრამაზე, რომელმაც საზოგადოებაში საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია?

– ახალი აქ არაფერია. დასაქმების პროგრამა ზუსტად იგივე ხასიათის არის, ცოტა მოდერნიზებულია, ვიდრე წინა დასაქმების პროგრამა იყო, თანხებიც გაზრდილია, საზოგადოების მოცვაც გაზრდილია. თუ წინა პროგრამა დაჯდა 22,5 მლნ ლარი. ეს პროგრამა ჯდება 60 მლნ ლარი. შედეგი გვექნება ინფლაცია.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად ეტყობა სააკაშილს თავის წინასაარჩევნო დაპირებებში, რომ სრულად ფლობს ინფორმაციას, თუ რა შეიძლება მოყვეს ასე ერთბაშად უზარმაზარი ფულის მასის გამოშვებას ბაზარზე? რამდენად კარგი ეკონომიკური მრჩევლები ყავს სააკაშილს?

– იცით, რა, მე ყოველთვის ისეთი განცდა მქონდა, რომ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში არ არსებობდა რაიმე გონიერება. მე არ ვიძახი ახლა, როდესაც სააკაშილი არის პრეზიდენტობის კანდიდატი. ვგულისხმობ იმ პერიოდს, როცა სააკაშილი პრეზიდენტი იყო. რაც ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა, ისეთი განცდა მქონდა, რომ არის უდიდესი დეფიციტი ეკონომიკური აზრისა მთავრობაში, პრეზიდენტის გუნდში. ეს განცდა ახლაც არა მაქვს შესუსტებული. ლადო გურგენიძის დანიშვნა ვერ ავსებს იმ ვაკუუმს, რასაც ეკონომისტი სჭირდება. ხაზს ვუსვამ, რომ მას როგორც წარმატებულ ბიზნესმენს პატივს ვცემ, მაგრამ როგორც დამწყებ პოლიტიკოსს უკვე მთელი რიგი შეცდომები აქვს დაშვებული. მე ვგულისხმობ მის 5 ნოემბრის განცხადებას, შემდეგ „იმედთან“ დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და ის, რომ მან თანხმობა განაცხადა, გახდეს სოციალისტური მთავრობის თავმჯდომარე.

შორენა კოწოწაშვილი